საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № №01–08/33

03 ოქტომბერი, 2013წ. **ქ. ბათუმი**

ccc

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის და 25-ე მუხლების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს წევრად არჩეული იქნეს თითო-თითო წევრი (ფაკულტეტის სრული ან ასოცირებული პროფესორი) შემდეგი ფაკულტეტებიდან:
   ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტიდან;
   ბ) განათლების ფაკულტეტიდან;
   გ) ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან;
2. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნები ჩატარდეს **2013 წლის 21 ოქტომბერს.**
3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №35, ოთახიN№13) 2013 წლის 3 ოქტომბრიდან – 2013 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა, 10 საათიდან 17 საათამდე;
4. ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს დაევალოს უზრუნველყონ შესაბამისი საარჩევნო კომისიები სამუშაო ოთახებით.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**